№ 239 238

ოთხშაბათი, 9 ნოემბერი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
[illegible]	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 239

ოთხშაბათი, 9 ნოემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“

გამოვა 1895 წელს

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ტფილისი, 9 ნოემბერი

შვიდს ამ თვეს ჩაასვენეს საფლავში იმპერატორი ალექსანდრე III. რუსეთმა, და აგრეთვე ევროპამ დიდი მწუხარება და გლოვა გააყოლა განსვენებულს ხელმწიფეს; ისტორია თავის დროზე უტყუარს მსჯავრს დასდებს ალექსანდრე III დროს და იმის მმართველობას. ახლა-კი, ერთი რამ არის უეჭველად ცნობილი, საზოგადოდ, რომ ევროპის მშვიდობიანობას ერთი თვალსაჩინო სვეტი გამოაკლდა და მომავალი საქმე ევროპის სადაო საგანთა გადაწყვეტისა, შეიქნა საფრთხილო და საშიშარი.

თუმცა გვირგვინოსანმა მისმა მემკვიდრემ, ტახტზე ასვლის პირველსავე დღეს, გამოაცხადა, რომ იგი, მსგავსად თვისის მამისა, ეცდება მშვიდობის დაცვას შინ და გარედ, მაგრამ მომავალნი გარემოებანი ისტორიისა წყვდიადით არის მოცული და გონებას ადამიანისას ვერ ძალუძს განსჭვრიტოს ყოველი შემთხვევა, რომელიც ხშირად იმორჩილებს კაცს და ამოქმედებს თვისის სურვილის წინააღმდეგ. ამასთან ხანს, ტემპერამენტს, სიმპატიას, ბუნებას და სხვა ათასს მიზეზს ისეთი გავლენა აქვს ადამიანზედ, რომ დაბეჯითებით იმისი თქმა დღეს, თუ როგორი დამოკიდებულება დაარსდება რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოთა შორის, ყოვლად შეუძლებელია.

ნიკოლოოზმა II ბრძანა, რომ იგი მშვიდობის მყოფელობას ეცდება, მაგრამ შესაძლოა წარმოსდგეს ისეთი უძლეველი გარემოება, რომელიც აიძულებს ახალგაზდა ხელმწიფეს მახვილის ხელში აღებას. ამ შემთხვევაში მშვიდობისმყოფელობის სურვილმა მეფისამ თავი უნდა დაჰხაროს თავისის ქვეყნის ინტერესებისა და პატივის დაცვის წინაშე, თუ ვინიცობაა შებღალულ იქმნა ან ერთი ან მეორე. ამას მოითხოვს როგორც უმაღლესი მოვალეობა რუსეთის მბრძანებელისა, აგრეთვე თავმოყვარეობა და პრესტიჟი სახელმწიფოსი.

ამიტომ შემცდარი არ ვიქმნებით რომ ვსთქვათ: არავინ იცის ევროპაში ხვალ რა იქნება.

ხოლო რაც შეეხება შინაგან საქმეთა წარმართვას, აქ-კი იმპერატორი ნიკოლოოზი სრულიად თავისუფალია, მის ნებას, მის განზრახვას და მის განათლებულს გონებას ვერა შეაფერხებს-რა.

უეჭველია, როგორც პირველის მანიფესტიდან სჩანს, ახალგაზდა გვირგვინოსანი რუსეთისა გამოიწვევს სახელმწიფო ასპარეზზედ რუსეთის საუკეთესო გონებრივსა და ზნეობრივს ძალას, მისცემს საშუალებას ყოველს სამშობლოს ერთგულს და განვითარებულს მამულიშვილს ემსახუროს ქვეყანას, შეიტანოს ხალხში სამართლიანობისა და თავისუფალის წარმატების ლამპარი.

ამას გარდა იმპერატორი ნიკოლოოზი, როგორც იმავე მანიფესტის სიტყვიდან ნათლად იგულისხმება, იქნება მეფე თანასწორად მზრუნველი ყველა თავისს ქვეშევრდომისა, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად.

ყოველი ესე დიდი საბუთია იმისა, რომ ხელმწიფება ნიკოლოოზ მეორისა იქნება დამყარებული ყველა ეროვნებათა თავისუფალ განვითარებაზე, რაიცა თავმდებია ახალგაზდა იმპერატორის ბრძნულის შინაგან პოლიტიკისა.

ამ საფუძველზე აგებული ცხოვრება რუსეთის ერისა სხივითა და დიდებით შეჰმოსავს მეფეს, ამ პირველს წინამძღოლს ერისას, და შთამომავლობას გადასცემს მის სახელს კურთხევითა და მადლობით.

საკუთრივ ხელმწიფობა იმპერატორის ნიკოლოოზისა დაიწყო 8 ამ თვეს, რადგანაც მანამდის მთელი ზრუნვა მეფისა მიქცეული იყო იმად, რომ შვილის მოვალეობა და მწუხარება მოესტუმრებინა.

მაგრამ რა-კი ნაშთი განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრესი ჩააბარეს საუკუნოდ მიწას, გვირგვინოსანი ძე მისი ამიერიდგან შეუდგება თავისს მძიმე, მაგრამ მშვენიერ მოვალეობის აღსრულებას. ამის შემდეგ, ჩვენ ყოველ დღე უნდა მოველოდეთ, რომ ახალგაზდა ხელმწიფე მტკიცედ მიჰყოფს ხელს იმ აზრების განხორციელებას, რომელიც მან აღიარა წინაშე ქვეყნისა, და რომელმაც მომავლის სიკეთის იმედით აღუვსო გული განურჩევლად, რუსეთის ყველა ქვეყანას, ყველა ეროვნებას.

მეველე

დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ნოემბერი

პეტერბურგი. დღეს, 7 ნოებერს, დილის $10^{1}/_{2}$ საათზედ, ციხიდგან სამჯერ გაისროლეს ზარბაზანი და ამით აუწყეს იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის გვამის დასაფლავების ამბავი. პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში შეიკრიბნენ იმპერატორის სახლობა, უცხო ქვეყნელნი სტუმრები, მეფენი: დანიისა, საბერძნეთისა და სერბიისა, გერმანიიდგან მოსული პრინცი ჰენრიხი პრუსიისა, ავსტრიიდგან—დუკი კარლ-ლიუდვიგი, იტალიდგან — მემკვიდრე პრინცი, ინგლისიდგან—უელის პრინცი და დუკი იორკისა, ესპანიიდგან— დუკი ალბა, ძმა უმაღლესად სახელ წოდებულის სასძლოსი, დიდი დუკი ჰესენისა, მეუღლე დიდის მთავრინასი მარიამ ალექსანდრეს ასულისა, დუკი საქსონ-კობურგ-გოტისა, რუმინიის მემკვიდრე პრინცი, პრნცები: ბავარიისა, ვირტემბერგისა და გერმანიის სხვათა სამეფოთა; პრინცი სიამისა, საფრანგეთის წარმომადგენელნი, რომელთაც ჰმეთაურობდა უმთავრესის შტაბის უფროსი გენერალი ბუადეფრი, უცხო ქვეყნის იმ ჯარების წარმომადგენელნი, რომელთა შეფადაც განსვენებული ხელმწიფე ითვლებოდა, სასახლის მოხელენი, დიდმბულნი, გენერლობა, სადიპლომატიო კორპუსი, ამალანი, თავად-აზნაურობის

ფელეტონი

„კირილ პეტროვიჩი“

I

. დილის რვა საათი იქნებოდა. მზე ის იყო ამოვიდა და გაჰფანტა დედამიწის ზურგზედ თვისი მაცოცხლებელი სხივები.

ტფილისის ქუჩებზედ უკვე დიდი ხანია მოძრაობაა. ხალხი გაფაციცებით მიეშურება სხვა-და-სხვა მხარეს. აგერ დინჯად მიაბიჯებს კოხტად გამოწყობილი „კაკარდოსანი“ და თანაც სიამოვნების ღიმილი უკრის ტუჩებზედ, ეტყობა, დღეს კარგს გუნებაზე ამდგარა! მეორე მხარეს სიცილ-კასკასით მიეშურება მოსწავლე ქალთა გროვა. ქუჩის მოსახვევში ამათ წინ დახვდა რამდენიმე მოსწავლე ვაჟი და ახლა უფრო მხიარულად, უფრო ხმა მაღლა ლაპარაკით გასწიეს სასწავლებლისაკენ.

ქალაქის სასამართლოს წინ მოეყარა სამ გლეხ-კაცს თავი და ერთმანეთ-შორის ლაპარაკი ჰქონდათ. დაღლილ-დაქანცული სახე გლეხებისა ჰმოწმობდა, რომ ის-ის არის ჩამოსულიყვნენ სოფლიდგან,

— აბაი, კაცო! მთელი საათია აქა ვართ და ჯერ ვერ ვეღირსეთ „სუდის“ გახსნას,—წამოიძახა უცბად უფრო ახალგაზდამ.

— განა ჩვენი სოფლის ეგნატე სუდიაა, რომ ეგრე ადრე დგებოდეს. ჯერ, შვილოსან, პირი არც-კი ექნება დაბანილი, ახლა სანამ ჩაის დალევს, სანამ წამოვა, ვინ იცის რამდელი ხანი გავა!.. მიუგო მეორემ.

— ეს ყველა, ყველა, პეტრე,— მიჰმართა მეორეს მესამემ—მაგრამ ჩვენ „არძა“ ვის უნდა დავაწერინოთ აქ?

— რამტელი მწერალია სუდში, ვინ იცის! ვისაც ფულს მივცემთ „არძას“-კი არა, ზაალვენიასაც დაგვიწერავს.

— ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ რო მოგვატყუოს და კარგი არძა არ დაგვიწეროს?

— როგორ მოგვატყუებს! კაცები არა ვართ, წავაკითხოთ ვისმეს.

— პა, პა, პა! მე ისევ იქა ვარ, კაცებო! წამოიძახა ისევ პირველმა. რა ადამიანმა გააშენა ეს ამოდენა სოფელი, რამოდელაც ე ქალაქია!! ნეტავი თუ-ღა იქნება დუნიაზე ამოდელა სოფელი!..

— როგორ არ იქნება, შე კაი კაცო! ჰტამბოლიო, ამბობენ, ხუთი ამოტელა იქნებაო,—მიუგო პეტრემ.

— ჰეეე რა იქნება და ი ჰტამბოლი! ჯერ ამაჰ თავი და ბოლო არ უჩანს და ი რაღა იქნება?!..

— თითო ისეთ-ისეთი სახლია თურმე ჰტამბოლში, რო ზეცას ებჯინებაო! განაგრძო ისევ პეტრემ.

— უჰ, უჰ! რა ეშმაკით აშენებენ იმოტელა სახლებს, გაიკვირვა უმცროსმა.

ამ დროს ქუჩაზედ მიმავალი კაცი დაინახეს, მარცხენა ხელში ძველი პორტფელი ეჭირა, მარჯვენით კიდევ გულმოდგინედ ულვაშს იგრეხდა.

— თუ ეს არ იყოს სუდია, ცხვირი მომჭერით! წამოიძახა მოხუცებულმა და თან თვალით მომავალი ანიშნა.

— არა, ბეჟან, სუდია მაგრე არ გაივლის! მიუგო პეტრემ. ამ დროს უცნობიც მიუახლოვდათ.

— გამარჯვება თქვენი! ხმა მაღლა მისალმა უცნობი გლეხებს.

— გაგიმარჯოს ღმერთმა! მიუგეს გლეხებმა.

— სადაურები ხარ, ძმობილებო, ან რა საქმისთვის ჩამოსულხართ?

— ჩვენ, შენიჭირიმე, საგარეჯოს მხრიდგან გახლავართ, მიუგო პეტრემ. სუდში ცოტა რამ საქმე გვაქვს.

უცნობმა კაცმა გლეხებს ხელი ჩამოართვა.

— საგარეჯოს მხრიდგანა ხართ? მაშ ჩვენებურები ყოფილხართ. რა ამბავია იქით? როგორი მოსავალია წელს?

— შენ მტერს, ისეთი მოსავალი, როგორიც წელს ჩვენ მოგვივიდა! პური იყო და გვალვამ გაანადგურა, ქერიც...

— ღვინო, ღვინო ხომ ბლომად მოვა?

— ღვინოს არა უჭირს რა, შენი ჭირიმე, კაი პირი უჩანს ვენახებს. ეს არის ორიოდე სოფელი დაისეტყვა.

— აქ რისთვის ჩამოსულხართ? სუდში საქმე ხომ არაფერი გაქვთ? ხელმეორედ ჰკითხა უცნობმა გლეხებს და თან ულვაშის გრეხას ერთი ორად უმატა.

— ცოტა რამ სასყიდელი გვაქვს და ე სუდშიაც არძა უნდა მივართოთ, მიუგო პეტრემ.

— პროშენიე დაწერილი გაქვთ?

— არა, ახლა გვინდა დავაწერინოთ.

— ვის?

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, იქნება ვინმე.

— ჰო, მაშ მე დაგიწერთ. აქ სუდში ყველას ვიცნობ. როგორც მინდა, ისე დავატრიალებ საქმეს. თქვენ მითხარით რაზედ ჩივით.

— აბა თუ მაგდენ სიკეთეს გვიზამ, ერთი სიტყვით, ჩვენი მადლით ნათელი დაგადგება, მიუგო ბეჟანმა.

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ! მე ჩამაბარეთ ეგ საქმე, მე ვიცი რასაც ვიზამ. სულ ყირამალა გადავატრიალებ სუდს! თითონ გუბერნატორამდე მივიყვან საქმეს. გუბერნატორთან იგრე ვარ, როგორც კარგ მეგობართან: სადაც დამინახავს ქუდს მომიხდის ხოლმე. მაშ, თქვენ როგორა გგონიათ!

— ჰო, შენი ჭირიმე! მიუგო ბეჟანმა. ნაჰწავლი კაცი ხარ, ყველა კანონი და ზაკონი ზეპირად გეცოდინება. აბა ჩვენ რა! უჰწავლელი ხალხი ეხლანდელ დროში აღარ გამოდგება.

— აბა, შენი ჭირიმე, დაიწყო პეტრემ: დაგვიწერე, რომ დროით მივცეთ სუდში, თორემ საღამოზე ვეღარ მოვასწრობთ შინ წასვლას.

— აი, აი, ემ საათში. წავიდეთ, შინ წავიდეთ, იქ დაგიწერავთ ყველაფერს. შენ-კი ეხლავე გზაში მიამბე თქვენი საქმე, რომ დრო აღარ დავკარგოთ.

— შენი სახელი, შენი ჭირიმე? ჰკითხა პეტრემ.

— კირილ პეტროვიჩ.

— აი კირილ პეტროიჩ! ჩვენი საქმე... კირილ პეტროვიჩი მოტრიალდა და თან წაიყვანა გლეხები. პეტრე გზა და გზა უამბობდა თავისს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამძღოლნი, გუბერნატორები და ვაჭრების წარმომადგენელნი.

ჯარებმა დანიშნული ადგილი დაიჭირეს. ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი, უცხო ქვეყნების მეფენი, უცხო ქვეყნელი პრინცები, დიდი მთავრები და დიდი მთავრინები საკრებულო ტაძარში რომ მობძანდნენ, წინ მიეგებნენ პეტერბურგის მიტროპოლიტი და უწმინდესის სინოდის წევრნი, ჯვარითა და ნათლის წყალით, როდესაც ანდერძის აგება დასრულდა უმაღლესს გვამთ ნაშთს უკანასკნელად თაყვანი სცეს, შემდეგ მისის უდიდებულესობის ამალის რვა გენერალ-მაიორმა კუბოს საფარველი ახადეს და საკურთხეველში შეიტანეს, რვა გენერალ-ადიუტანტმა-კი კუბოს სახურავი მოიტანეს, ხელმწიფემ კუბოში პორფირი ჩაატანა. როდესაც კუბოს სახურავი დაამაგრეს, კუბო ასწიეს ხელმწიფე იმპერატორმა უცხო ქვეყნების მეფეთა, უცხო ქვეყნების პრინცებმა, სამეფო გვარეულობის წევრებმა, მინისტრმა სახლთ-უხუცესმა, გენერალ-ადიუტანტებმა და სასახლის უმთავრესმა მოხელეებმა და მიტროპოლიტის წინამძღოლობით კუბო მიასვენეს ტაძარშივე მომზადებულს სამარესთან. ჩამოლოცვის შემდეგ კუბო შიგ ჩაასვენეს. ჯარებმა სროლა ასტეხეს. პეტრე-პავლეს ციხისა და სხვა ადგილების ყოველ ზარბაზნიდგან ექვს-ექვსჯერ გაისროლეს. პეტრე-პავლის ციხის დროშის ტარზედ, სამგლოვიარო ბაირაღის მაგივრად, ჩვეულებრივი დროშა ამართეს.

პეტერბურგი. დამატებანი დასაფლავების დროს არსებულ წესრიგისა: ხელმწიფე იმპერატორი, დაქვრივებული იმპერატრიცა, უმაღლესად სახელწოდებული სასძლო და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული ერთად მობძანდნენ დასაფლავებაზედ შავად შემოსილიეტლით. ტაძარში საიმპერატორო გვარეულობის მარცხენა მხარეს, იდგნენ უცხო ქვეყნების წარმომადგენელნი, ხელმწიფისა და დედოფალს შემდეგ იდგნენ სამეფო გვარეულობის წევრნი და მერე-კი უცხო ქვეყნის სტუმრები. სამარე შიგნიდგან ყვავილებით იყო შემკული, ეს ყვავილები შემდეგ სახსოვრად მლოცველებს ურიგდებოდათ. კუბო პირველად ფარჩა გადაფარებულს ამაღლებულს ადგილზედ დაასვენეს, შემდეგ ჯარის რვა გრენადერმა, იმ რაზმების ფელდებელებმა და ვახმისტრებმა, რომელთა შეფადაც ითვლებოდა განსვენებული იმპერატორი, კუბო ტილოებით სპილენძის ყუთში ჩაასვენეს და ორის კლიტით დაჰკეტეს. ვერცხლის გვირგვინების უმეტესობა, ტაძარშივე, სვეტებზედ ჩამოჰკიდეს. სულ 900 გვირგვინზედ მეტი იყო და ჰღირდა 2 მილიონი მანეთი. გერმანიის იმპერატორისაგან გამოგზავნილი გვირგვინი წირვის დროს კუბოსთან იდო. სიმშვენიერით და სიდიდით უფრო საფრანგეთის გვირგვინები განირჩეოდა. ხელმწიფე იმპერატორი ტაძრიდგან დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძესთან ერთად დაბრუნდა, დედოფალი-კი უმაღლესად სახელწოდებულ სასძლოსთანა და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასულთან ერთად.

საკრებულო ტაძრის წინ საპატიო დარაჯად იდგა ლეიბ-გვარდიის გუსართა პოლკი, რომელთაც იმპერატორი მიესალმა. ხელმწიფე იმპერატორი წასაბრძანებლად რომ ემზადებოდა, სამხედრო მუსიკამ საერო საგალობელი დაუკრა. ციხის გასავალთან ხელმწიფის დასახვედრად საპატიო დარაჯად დააყენეს ლეიბ-გვარდიის პოლკი. ქუჩები ხალხით სავსეა. მოღრუბლული ტაროსია, მაგრამ კი არა სწვიმს.

◆

უცხოეთი

იაპონია. იაპონიელების საზოგადოება ძალიან გულ-ცივად დაუხვდა ჩინეთის განცხადებას, იმის შესახებ რომ მორიგების საქმეში ევროპიელები უნდა ჩაერივნენო. რაც შეეხება იმ პირობებს, რომლების მიხედვითაც იაპონიამ მშვიდობიანობა უნდა ჩამოაგდოს, იაპონიის ჟურნალ გაზეთობა ამის შესახებ აი რას ამბობს: «თუ ჩინეთს მართლა ჰსურს, რომ მტრულს მოქმედებას ბოლო მოუღოს, ამბობს იაპონის ერთი გაზეთი, მაშინ შემდეგ პირობაზედ უნდა დასთანხმდესო. კორეს საქმეში ჩარევისაგან სრულიად აიღოს ხელი. სახედრო ხარჯი უნდა გადაიხადოს, ვიჩ-ქუი უნდა იპონიინს ჯარებს ეჭიროთ, სანამ ხარჯს სულ მთლად არ გადაიხდის, პორტ-არტურისა და ვეი-ხაი-ვეის ნავთსადგურები იაპონიის ჯარებს უნდა ეჭიროთ, სანამ კორეს შეძლება არ მიეცემა და საკმაო ჯარი არ ეყოლება თავისს დამოუკიდებლობა დაიცვას. იაპონელების რადიკალთა გაზეთი თხოულობს, რომ ფორმოზისა და სამხედრო ხარჯის გადახდაში შეღავათი მივსცეთო.

მეორე გაზეთი აღინიშნავს სამხედრო გარდასახადის რაოდენობას, რომელიც $2^1/_2$ მილიონ ფრანკს უდრის. საგრამ ამითი არა თავდება იაპონელების მოთხოვნილება. ერთი გაზეთი, გარდა იმასა, რომ ჩინელების მიწა-წყლის ხელში ჩაგდებასა თხოულობს, იმასაც-კი ამბობა, რომ ჩინელების ფლოტი და იარაღი იაპონელებს უნდა გარდაეცესო.

—

ინგლისი. ინგლისის მთავარ-მინისტრმა ლორდ მერისას დიდი სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის განაცხადა:

…„ეხლა თითქოს ყველას მშვიდობიანობა სწადიან, მაგრამ, უნდა ვსთქვათ, რომ მშვიდობიანობას მრავალი მტერი ჰყავს. პირველი და უძლიერესი მტერი მშვიდობიანობისა —საერთო შეიარაღებაა. ეს შეიარაღება ერთის მხრით მძიმე ტვირთად აწვება ხალხსა და მეორეს მხრით-კი შეიძლება ლონის შეტოლებისა და გამოკვლევის სურვილი დაბადოს.

მეორე მტერი მშვიდობიანობისა ჟურნალ-გაზეთებია. საზოგადოდ დასტამბული სიტყვა მადლობის ღირსია, რადგან კარგად განმარტებს ხოლმე საგნებს, მაგრამ ხან-კი სახელმწიფოთა შორის შურის ჩამოგდებაც შეუძლიან. ჟურნალ-გაზეთობამ ჯერ უნდა გულ-დადებით განჩხრიკოს ხოლმე ყოველი მის მიერ შეტყობილი ამბავი და მერმე ისე დასტამბოს. მესამე მტერი—აფრიკაში სამხედრო ექსპედიციების გზავნაა. ამიტომ რაც შეიძლება, მალე უნდა გამოირკვეს სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა უფლებანი აფრიკაში.

◆

რუსეთის ცხოვრება

—

„Правит. Вест.“-ში დაბეჭდილია საყოველთაო დეპეშა რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრის გირსისა, რუსეთის სახელმწიფოს საზღვარ-გარეთ მყოფ წარმომადგენლებთან წარგზავნილი 28 ოქტომბერს. აი ეს დეპეშა:

„ჩვენს უავგუსტოეს ხელმწიფეს, მიღო რა სამკვიდროდ უზენაესი უფლება, მისდა მინდობილი უფლისა მიუწდომელისა განგებულებით, მტკიცე განზრახვა აქვს იკისროს ის დიდებული საგანიცა, რომლის განხორციელებაც ვალად დაისახა დაუვიწყარმა საყვარელმა მშობელმა მისმა იმპერატორმა ალექსანდრე III მ.

„მისი უდიდებულესობა ყოველსა ზრუნვასა თვისსა რუსეთის შინა ცხოვრების კეთილ დღეობის განვითარებას მოანდომებს და არაფრით გადასცდება სრულიად მშვიდობისმოყვარე, მტკიცე და გულწრფელ პოლიტიკას, რომელიც ესოდენ ძლიერად უწყობს ხელს საყოველთაო სიწყნარესა და სიმშვიდეს.

„რუსეთი არასოდეს არ უღალატებს ძველთა გარდმოცემათა თვისთა. იგი თავისს ცდასა და მეცადინეობას იმად მიმართავს, რათა მეგობრული დამოკიდებულება დაიცვას და უწინდელებს სახელმწიფოს უშიშროების საუკეთესო თავმდებად უფლებისა და კანონიერ წეს-რიგის პატივის ცემას ჩასთვლის.

იმ დიდებულ მეფობის დასაწყისს, რომელიც აწ უკვე ისტორიის კუთვნილება შეიქმნა, ყოველი მეცადინეობა გაწეული იყო რუსეთის იდეალის განსახორციელებლად, იმ იდეალისა, რომ რუსეთი ძლიერი ყოფილიყო და შესძლებოდა თავისის კეთილ-დღეობას წარმატება, სხვათა დაუზარალებლად და ვნების მოუტანელად. ეხლა ახალის მეფობის განთიადისას, ჩვეულებრივის გულწრფელობის გავნაცხადებთ, რომ არა ვუმტყუნებთ იმავე დედა-აზრთ და მოვიწოდებთ კურთხევასა უზენაესისასა, ამა დედა-აზრთა კეთილი-ნაყოფიერსა განხორციელებასა მრავალთა წელთა განმავალობაში.

კეთილ ინებეთ, და იმა მთავრობას რომლისწინაშეცა ხართ წარგზავნილნი, ამა ბ-ნ გარეშე საქმეთა მინისტრის იმა დეპეშის წაკითხვისათანავე, აცნობეთ ესევითარნი განზრახვანი მისის უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორისანი“.

◆

ახალი ამბავი

—

⁂ გუშინ, რვას ამა ნოემბერს, ტბილისის მიხეილის საავადმყოფოს მთავარ ანგელოზის ეკკლესიაში წირვის შემდეგ, რომელიც შეასრულა მამა ვ. კარბელაშვილმა ქართულ-რუსულად, გადახდილ იქმნა პარაკლისი დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოზის ძის სადღეგრძელოდ.

ამ ეკკლესიაში გალობს მიხეილის ფერშლის სკოლის მოწაფეების რუსული ხორო, ამ დღეს კი მოიწვიეს მამა დავითის სამრევლო სკოლის ქართული პატარა ქალთა ხორო და იგალობეს ბ. მიხეილ ნათაძის ლოტბარობით.

ჩივრის ამბავს, ხანდახან ბეჟანიც ჩაურევდა ხოლმე ორიოდე სიტყვას. ქუჩა თითქმის გაანახევრეს, როდესაც კირილ პეტროვიჩი ერთ ვიწრო მოსახვევში ჩაბრუნდა და იქვე „ტრაქტირის“ კარები შეაღო.

გლეხები კარებში შესდგნენ.

— შემოდით, შემოდით, ნუ გეშინიანთ!

პეტრემ პირველმა გაბედა ფეხის შედგმა. შესვლისათანავე ყველამ ქუდები მოიხადეს.

— ჰაა, კირილ პეტროვიჩს გაუმარჯოს! დაუძახა დაბალდაბალმა, ღიპ-გადმოგდებულმა დახლიდარმა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, ჩემო ვანიჩკა! მიუგო კირილ პეტროვიჩმა.

— სხვა, როგორა ბძანდები გუშინდელს აქეთ? ჰკითხა ისევ დახლიდარმა.

— შენ მაგეებს თავი დაანებე და ერთი ზაკუსკა რამ მოგვიტანე ოტკით. არა, ძმობილებო, მიუბრუნდა კირილ პეტროვიჩი გლეხებს, რომ შევნაყრდეთ, ისა სჯობია, მერე უფრო კარგა დავწერავთ პროშენიას. როგორცა გნებავს, შენი ჭირიმე! მიუგო პეტრემ.

ტრახტინში ჯერ არავინ იყო. კირილ პეტროვიჩმა გლეხებიერთსტოლთან დასხა და თითონაც გვერდით მოუჯდა. ამ დროს დახლიდარმაც მოიტანა ერთი ბოთლი არაყი, ყველი და პური.

— აბა, ძმობილებო მიირთვით. მიუბრუნდა გლეხებს კირილ პეტროვიჩი, თანაც ჭიქით გადაჰკრა არაყი. ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და აჭიკჭიკდა კირილ პეტროვიჩი. ვინ იცის, რას მოუყვა გლეხებს. მთელი ტფილისი ყირამალა გადაატრიალა. ეს გუბერნატორი, ეს პროკურორი სულ ციმბირში გადაასახლა. ერთხელ კინაღამ თვით მთავარ-მართებელიც ციხეში არ ჩასვა!

— აბა ეხლა-კი დროა დავწეროთ პროშენია! წამოიძახა კირილ პეტროვიჩმა, როდესაც კარგად გამოძლა დი დაცალა მთელი ბოთლი არაყი. ეი, დახლიდარო! ერთი სუფთა ქაღალდი და საწერელ-კალამი მომიტანე. მაშ ეგრე, მიუბრუნდა გლეხებს. ტყუილ-უბრალოდ გედავებათ ივილაც ოხერ-ტიალი აზნაურშვილი.

— ჰო, შენი ჭირიმე! მიუგო პეტრემ. მთელმა სოფელმა იცის, ი მიწა რო ჩვენია, მაგრამ ძალათ უნდა წაიღოს.

— ძალათ უნდა და მე ვაჩვენებ როგორც ციხეში ამოვაყოფინებ თავს ჯერ სუდში წავდგე! მოიტანე ქაღალდი! მიუბრუნდა ახლა კირილ პეტროვიჩი დახლიდარს, რომელმაც ქაღალდი და საწერელ-კალამი რკვე მოიტანა. ეხლა შენ, ვანო, უამე მოგვიმზადე სადილისათვის, სანამ მე პროშენიეს დავწერ, მანამ სადილის დროც მოვა. კარგი რამ კი იყოს აი, კახური არ დაგავიწყდეს.

— ისეთი რამ გავაკეთო რომ სულ ტუჩებს ილოკავდეთ.

II

არ ვიცი ჩემ მკითხველს გაუგონია რამ კირილ პეტროვიჩის შესახებ თუ არა! ეს კია, რომ მთელს ტფილისში, თითქმის ტფილისს გარედაც, სახელი აქვს გავარდნილი. ყველა იცნობს კირილ პეტროვიჩს, ყველას გაუგონია ღირს-შესანიშნავი რამ იმის ცხოვრებიდგან. ქუჩებში, განსაკუთრებით შუა ბაზარში და შეითან ბაზარში რომ გაივლის ხოლმე, მედუქნეები დიდის მოწიწებით ქუდს უხდიან. მოკლე ქუჩის გავლას საათი სულ ცოტა, ნახევარი საათი მაინც უნდება ხოლმე; იმიტომ კი არა, ვითომ ნელა დადიოდეს, შენც არ მომიკვდე! პირ-იქით, ტყვია ნაკრავივით მირბის. დაგვიანების მიზეზი კი ისაა, რომ ნაცნობები ათასობით, ათი-ათასობით ჰყავს და ისე ქუჩას ვერ გაივლის, რომ ერთი ხუთიოდე ძველი ნაცნობი არ შეხვდეს და ხუთიოდე ახალი არ გაიცნოს. ყველასთან საქმე აქვს კირილ პეტროვიჩს, ყველას უნდა გამოჰკითხოს რამ, ან თვით იმას ჰკითხავენ რასმეს. მიზეზი ასეთის კირილ პეტროვიჩის საყოველთაო ყურადღებისა დაჭეშმარიტებით არ ვიცი, მხოლოდ აქა-იქ ცოტა რამისათვის მომიკრავს ყური: ზოგი ამბობს, დაჲ „გოგრის“ დიდი „ნიჭის“ პატრონიაო, ზოგი—ძალიან გამოცდილი კაციაო, ზოგი—კარგის არზების „პროშენიების“ წერა იცისო, ზოგი ამას ამბობს, ზოგი იმას….. ერთის სიტყვით, ათასი სხვა-და-სხვა ხმა დადის კირილ პეტროვიჩის შესახებ, მაგრამ რომ შესანიშნავი კაცია, ამას ყველა დაბეჯითებით ჰმოწმობს.

გარეგნობითაც ეტყობა რაღაც თავისებურობა, იმისთანა რამ, რაც სხვას არა აქვს. გამომეტყველება, ტანის მორთულობა, თითქმის სიარულიც კი განსაკუთრელი აქვს, რაიცა, რასაკვირველია, იმის შესანიშნაობას ამტკიცებს. კირილ პეტროვიჩი არ არის მაღალ-ტანის კაცი, მაგრამ თითონ მაღალ კაცად მიაჩნია თავი. ხშირად თავის სიმაღლე კაცთან რომ გაივლის, ეტყვის ხოლმე: „მე ერთის მტკაველით შენზედ მაღალო ვარო“. სწორედ მაჰმადივით მოსდიოდა. ნამდვილად არ ვიცი, რად ჰქონდა კირილ პეტროვიჩს ასეთი წარმოდგენა, მხოლოდ სათუოდ, ეჭვით შემიძლიან ვსთქვა, რომ ეს იმის თვალების განსაკუთრებულის თვისების ბრალი იყო, რის ამბავსაც შემდეგ გაგიზიარებთ. არც მსხვილი კაცი იყო კირილ პეტროვიჩი, მხოლოდ ცოტად მუცელი ჰქონდა წინ წაწეული, ისიც მარტო მაშინ ეტყობოდა, როცა სერთუკს გაიხსნიდა ხოლმე. ტანის სხვა-და-სხვა ასოები საკმაოდ შეწყობილად ჰქონდა განწყობილი, გარდა მხრებისა. მარჯვენა მხარი ერთისა თუ ნახევარის გოჯით უფრო მაღლა ეჭირა მარცხენაზე. სწორედ ამ მიზეზით მარჯვენა ხელი უფრო მოკლე ჰქონდა ვიდრე მარცხენა, მაგრამ კირილ პეტროვიჩს ხელის უსწორ-მასწორობამ ეს შედეგი არ აკმარა და ამას შედეგის შედეგიც მოჰყვა: მარჯვენა ხელი მუდამ, როცა საქმე არა ჰქონდა, მარჯვენა ულვაშზედ ეჭირა და გულ მოდგინედ იგრეხდა, მარცხენა ხელი კი თითქმის არც ერთხელ არ წაუვლია ულვაშზედ. ამის გამო მარჯვენა ულვაში ისე ჰქონდა წამოწკეპებული, რომ ბუზი წამოეგებოდა ზედ. კირილ პეტროვიჩის ულამაზოდ გრძელს სახეს უფრო აგრძელებდა წვერი, რომელიც თხასავით, მარტო ნიკაპზედ ჰქონდა მოსული. როგორც წვერი, აგრეთვე ულვაშში შავი, კუპრის ფერის ჰქონდა. ამ ფერისავე იყო ის ორიოდე ბალანი ყურების ზემოდ და ცოტა უკან კეფაზედ, რომელსაც მეშინიან თმა დაუძახო. ზემოდ კი შუბლიდან დაწყებული კარგა რგვალად მოტიტვლებული ჰქონდა, რომელზე-

⁂ ორშაბათს, 7 ნოემბერს, კუკიაში, მართმადიდებელთა სასაფლაოზედ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი განსვენებულის ხელმწიფის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ ალაპი გამართეს. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო.

⁂ პეტერბურგის გაზნთების სიტყვით, სამხედრო მინისტრად ნამყოფს გრ. დ. ა. მილიუტინს კვლავ დიდს თანამდებობაზედ ამწესებენო.

⁂ გურიიდგან გვწერს ერთი ჩვენი კორესპონდენტი, რომ ახლო მომავალში გურიის სამღვდელოებას კრება ექმნება და ამიტომ ურიგო არ იქმნებაო, ამ კრებაზედ სხვათა შორის აღძრული იყოს საკითხავი საეკკლესიო წიგნთ-საცავს დაარსების შესახებ. რადგანაც გარდა იმისა, რომ ღვდლები თავისს მოვალეობას რიგიანად აასრულებენ, სალვთის-მეტყველო წიგნებსაც გაავრცელებენ ხალხშიო, რომელნიც ზნეობრივად დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს ერსა.

⁂ სად. ყვირილა. 7 ნოემბერს, ღამის 3 საათზედ, აქ ერთი უბედურება მოხდა. კონდუქტორი ჟუკოვი, რომელიც მატარებელს ათვალიერებდა, ორს ვაგონს შუა ჩადგა ჯაჭვის გადასაბმელად. ამ დროს ორთქლმავლი დაეჯახა ვაგონებს და საბრალო ჟუკოვი ვაგონსა და ვაგონ შუა გაისრისა.

⁂ სიღნაღი. რის ვაი-ვაგლახით მაჰავარიანისა და ამხ. წყალობით გვეღირსა სამკითხველოს დაარსება, მაგრამ სიღნაღელებმა ეს სამკითხველოც ვერ შეინახეს, სადაც საკმაოდ ქართული, სომხური და რუსული ჟურნალ-გაზეთები იყო, ხალხი არ დაიარებოდა და ბ-ნი მაჰავარიანი აგერ ერთი წელიწადია იძულებული იყო გაუქმებინა. სამკითხველოში შესვლის ფასი დღეში ორი კაპიკი იყო. ეხლა ჯერი მიდგა წიგნის მაღაზიის დაკეტვაზედ. იმდენად გაუნათლებლები არიან აქაურები, რომ დღეში ერთი კაცი არ შევა და არ იყიდის ერთ სამ კაპეიკიან წიგნაკს და მაჰავარიანი იძულებულია ესეც მალე დაჰკეტოს, რადგანაც შემოსავალი ხარჯს ვერა ჰფარავს.

⁂ გორი. 7 ნოემბერს, საღამოს 5 საათსა 55 წუთზედ, სოფელ კასპის მცხოვრები თედო ნინიკაშვილი უნდა ასულიყო მომავალ მატარებელზედ, დაუცდა ფეხი და ვაგონს ქვეშ ჩავარდა და ორივ ფეხი დაუშავდა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს

⁂ ჭიათურა 6 ნოემბერს ღამის 9 საათსა და 45 წუთზედ, ქვა-ქუნდაზედ მომუშავე ალმასხან ჰანტურია ჩავარდა მატარებლის ქვეშ და ვაგონმა მარჯვენა მკლავი მოსწყვიტა.

სამეცნიერო ნაწილი

მზის შუქი და მიკრობები.

კარგად მოგეხსენებათ, რომ სიმრთელე, სისაღე სხეულისა ბურჯია ადამიანის სიამოვნებით ცხოვრებისა, ბედნიერებისა. ტყუილად-კი არ ამბობდნენ ძველნი ბერძენნი და რომაელნი, რომ სისაღე—მთავარი საუნჯეაო სიცოცხლისა. საუბედუროდ, დაიბადა თუ არა ადამიანი ქვეყანაზედ, იმავ თავითვე თან დაჰყვნენ სხვა-და-სხვა მტრები სიმრთელისა. ეს მტრები არიან მრავალ გვარნი ავადმყოფობანი, რომელნიც კაცს აწვალებენ, სტანჯავენ, უშხამებენ არსებობასა და უმოკლებენ უიმისოდაც მოკლე წუთი-სოფელსა. წინედაც მხნედ ებრძოდა ადამიანი და ახლაც კიდევ უფრო მეტად ებრძვის თავისს უმთავრესს მტრებსა. ამ ბრძოლაში გამარჯვება უმთავრესად იმაზეა დამოკიდებული, შეიტყობს თუ არა იგი მათს ნამდვილს მიზეზსა. და რა-კი მიზეზი ცნობაში იქმნება მოყვანილი, რაკი მიაგნებს სათავეს თავისის ტანჯვისას, მაშინ ადვილია დააშროს წყარო უბედურობისა და ბოლო მოუღოს სხვა-და-სხვა სნეულებასა.

იმავ თავითვე ექიმები და მეცნიერნი დიდი გულმოდგინებით ეძებდნენ მიზეზსა სხვა-და-სხვა ავადმყოფობისასა; მაგრამ ამაოდ: საიდუმლო საიდუმლოდ რჩებოდა, მხოლოდ ჩვენს დროში ეწივნენ თავისის გულის წადილსა და აღმოაჩინეს ნამდვილი მიზეზი საშინელთა სნეულებათა: ჭლექისა, მძიმე ცხელებისა, ხოლერისა, საქონლის ჭირისა, დიფტერიტისა და სხვებისა. რაში მდგომარეობს ეს მიზეზი?

მოგეხსენებათ, რომ კარგა ხანია, რაც მსწავლულებმა მოიგონეს იმისთანა მინის იარაღი, რომელიც ერთი ასად და ათასად დიდად აჩენს ყოველს წვნიკსა და უჩინარს სულიერებსა ანუ საგნებსა. ამ იარაღის წყალობით, რომელსაც მიკროსკოპი ჰქვიან, მსწავლულებმა აღმოაჩინეს აუარებელნი წვნიკნი სულიერნი, რომელთაც ჩვენ თვალით ვერა ვხედავთ და რომელნიც ცხოვრობენ მიწაშიაც, ჰაერშიაც და წყალშიაც. ეს უჩინარნი სულიერნი არიან სხვა-და-სხვა მოყვანილობისა, სიდიდისა, სახისა და ბუნებისა. ზოგნი მათგანნი არავითარს ვნებას არ გვიშვრებიან, ზოგნი სასარგებლონიც არიან, მაგრამ ზოგთ-კი შხამიანი ბუნება აქვთ და ამ შხამის წყალობით ისინი აჩენენ ადამიანის სხეულში სხვა-და-სხვა მძიმე ავადმყოფობასა. ეს მავნე უჩინარი არსებანი, ანუ მიკრობები, ჩვენ გვამში ჩადიან ან საჭმელთან, ან სასმელთან, ან ჰაერის სუნთქვის დროსა და ან ცხვირ-პირიდგან ჩაგვიძვრებიან ხოლმე. რაკი ჩვენს შიგნეულობაში მოექცევიან, საოცარი სისწრაფით მრავლდებიან, უშხამავენ ადამიანს სისხლსა, სხეულსა, აწვალებენ, სტანჯავენ, მთელი თვეობით ლოგინად ამყოფებენ და ხშირად სიცოცხლესაც უსპობენ.

დიდი ხანია ნათქვამია, რომ მტერი ჩვენის მტერისა ჩვენ მეგობრად უნდა ჩაითვალოსო. აქაც ისეა. რაცა და ვინც სდევნის და ჟლეტავს ამ მავნებელს მიკრობებს, ისინი უნდა შევრიცხოდ ჩვენ კეთილის მყოფელად, მოკეთედ. ხოლო რა სდევნის მათ და რა ემტერება?

მავნე, შხამიანს მიკრობებს უპირველესად ყოვლისა ემტერებიან და ხოცვენ უჩინარივე მიკრობები სხვა გვარისა და თესლისანი, ასე რომ თვით მიკრობებს შორის სწარმოებს, მოქმედობს განუწყვეტელი ბრძოლა, ომი. ის მიკრობები, რომელნიც შხამიანს მიკრობებს ებრძვიან, ჩვენის სხეულისათვის სრულიად უვნებელნი არიან თავისთავად. ამიტომ რა გარემოებაც მათ გამრავლებას ხელს უწყობს, ყველაფერი სასარგებლოა ჩვენის სიმრთელისათვის. გაძლიერება სხვა-და-სხვა ჭირისა და გადავარდნა მისი ბევრად დამოკიდებულია ამ სასარგებლო მიკრობების გამრავლებაზედ. თუ ბუნების მდგომარეობა მათ ხელს უწყობს და ისინი დაუბრკოლებლივ მრავლდებიან, მავნე მწერები მათგან იჟლიტებიან და ამის გამო მოარულნი ავადმყოფობანი სუსტდებიან, ქრებიან. თუ რაიმე მიზეზი აბრკოლებს სასარგებლო მიკრობების აღორძინებასა და ხოცავს მათ, მაშინ მავნებელს მიკრობებს რჩებათ ბურთი და მოედანი.

მაგრამ უმთავრესი მტერი მავნე მიკრობებისა არის მზე, რომლის შუქი მათთვის სწორედ ნამდვილს შხამს შეადგენს. ეს შუქი მათ ხოცავს, შლის, აქცევს მტვრადა და აქრობს. მეცნიერთა გამოცდილებამ ცხად ჰყო, რომ მზის გულზედ მავნე მიკრობები სრულიად გაჩანაგებულნი არიან, აქ მათი სინსილა გამწყდარია. სამაგიეროდ, ჩრდილში, სადაც მზე სრულიად არ ადგება, ისინი საოცარი სისწრაფით მრავლდებიან და სულ ფუსფუსი გააქვთ. ჩრდილი მავნე მიკრობებისათვის ისეთივე სამოთხეა, როგორც ჭაობი სხვა-და-სხვა ქვემძრომებისათვის. ამ ჩრდილებიდგან იგინი გადადიან სხვა ადგილებში, სხვა-და-სხვა გზით შემოექცევიან ადამიანის სხეულში და ასნეულებენ მას.

ამის გამო რამდენიც უფრო მეტად და დიდ ხანს ადგია მზე ადამიანის სადგურს, იმდენი უფრო საღია იგი. სამაგიეროდ, სადგური, მოკლებული მზის შუქსა და ჩრდილში მოქცეული, ხშირად აჩენს ყოველ გვარს ავადმყოფობასა. ეს მოვლენა ყველაზედ კარგად შეუგნიათ იტალიელებსა და ამიტომ მათ ქვეყანაში სამხრეთისაკენ მიქცეული სადგურები ერთი ორად ფასობს, ვიდრე ჩრდილოეთისაკენა. იტალიაშივე შეუდგენიან ანდაზა: „საცა იშვიათად შედის მზე, იქ ხშირად დაიარება ექიმიო“. ამის მიხედვით ყველაზედ საღი ის სადგური უნდა იყოს, რომლის ყოველი კუთხე მუდამ დღეს, როცა-კი ცა მოწმენდილია, განათებულია მზის შუქითა.

ახლა საინტერესოა ვიცოდეთ, რომელი ნაწილი მზის შუქისა სწყენთ მავნე მიკრობებსა და აქრობს მათ? როგორც უკვე მოგეხსენებათ, მზის შუქი შესდგება შვიდი ფერისაგან ანუ ნაწილისაგან. რომელი მათგანი არის მოსისხლე მტერი ჩვენის სიმრთელის და ჯან-საღობის მტრებისა? ამის გამოსაცნობად, მსწავლულებმა ფერადი მინების საშუალებითა სცადეს მოქმედება მიკრობებზედ ცალ-ცალკე ყოველი ფერისა. მოაგროვებდნენ მიკრობებს ერთად და მიაყენებდნენ რიგ-რიგად ჯერ წითელ ფერსა, მერმე ყვითელსა, შემდეგ ცისფერსა და სხვებსა. მიკრობებმა ხუთი ფერი კარგად აიტანეს, არც მოძრაობა, არც გამრავლება მათი არ შეფერხებულა, არ შესუსტებულა. მაგრამ მიაყენეს თუ არა მათ ცის ფერი და იის ფერი მზის შუქი, მაშინვე შეუდგათ ერთი ალიაქოთი, მოუსვენარს მდგომარეობაში ჩავარდნენ, მერმე მისუსტება იწყეს, უმოძრაოდ შეიქმნენ გამრავლება მათი მთლად შეჩერდა, მიმკვდარდნენ პატარა ხანს უკან და-

---

დაც, ასე გასინჯეთ, ბუზები ნავარდობდნენ ხოლმე. მაღალი, განიერი შუბლი გონიერ გამომეტყველებას აძლევდა კირილის პეტროვიჩის სახეს, მაგრამ, საუბედუროდ, ამ გამომეტყველებას აფემკრთალებდა თვალები.

ზემოდაც, მოგახსენეთ კირილ პეტროვიჩის თვალებს განსაკუთრებული თვისება აქვთ მეთქი: ჯერ ერთი თვით ის ორი თვალი, რომელიც კირილ პეტროვიჩს შუბლ ქვემოდ აქვთ ჩასხმული, არამც თუ სხვა კაცების თვალებისაგან განირჩევა, ერთმანერთშიაც ეტყობათ განსხვავება: მარჯვენა თვალი უფრო ცისფერი აქვს, მარცხენა კი მოშავო. მეორე კიდევ ის, რომ სულ სხვა-და-სხვა მხარეს იყურება იმისი თვალები სწორედ ამიტომ ამბობდნენ კირილ პეტროვიჩი. „ცალის თვალით დარუბანდში იყურებაო, მეორეთი კიდევ არდაგანშიო“- არ გეგონოთ კირილ პეტროვიჩს სძაგდეს თავისი თვალები, პირ-იქით, მოსწონდა კიდეც. შემთხვევა მეძლევაო, ამბობს ხოლმე, კარგად გავშინჯო, რაც ჩემს გარეშემო ხდებაო“. ტანისამოსის ხშირ-ხშირად გამოცვლა კირილ პეტროვიჩმა არ იცის: თითქმის სულ სერთუკი აცვია ხოლმე. ამბობენ, ერთს სერთუკს ექვსი წელიწადი ატარებსო... იმასაც ამბობენ თავისს დღეში ახალს სერთუკს არ იყიდის კირილ პეტროვიჩიო. საქმე იმაშია და ჭორებიც იმიტომ დადის, რომ იმის სერთუკს სულ მუდამ ღილები აკლია: ორი წინ და ერთიც უკან, განსაკუთრებით უკან თავისს დღეში ერთი ღილის მეტი არ ჰქონია იმის სერთუკს.

რადგანაც ეგრე დაწვრილებით აღვწერეთ კირილ პეტროვიჩის გარეგნობა, მეტი არ იქმნება ორიოდე ბიოგრაფიული ცნობაც მოვიყვანოთ იმის წარსულიდგან.

რვა თუ ცხრა წლისა იქნებოდა კირილ პეტროვიჩის მამა, როდესაც სოფლიდგან ჩამოიყვანეს და ერთ მედუქნეს მიაბარეს ბიჭად. ბევრი წვა-ვაება, ბევრი ტანჯვა-წვალება გამოიარა ცხონებულმა პეტრემ ბიჭობის დროს. შიმშილი წყურვილი, ცემა ტყეპა, დილით საღამომდე გამუდმებით მუშაობა, არა ერთხელ გამოუცდია. ბოლოს დავაჟკაცდა. გამოცდილება მოემატა, ვაჭრობის ყაირათი ისწავლა. ამასთანავე ამდენის წლის ნაწვავ ნადაგი რამდენიმე გროშიც ჰქონდა შენახული ცალკე კუნჭულში. თავისუფლად მოქმედების სურვილი ყველას ბუნებით დაჰყვება ხოლმე, პეტრე ხომ ამასთანავე რამდენისამე წლის თავში კაკუნმა იმ აზრზედ მიიყვანა, რომ თავისუფლად ცხოვრება მირჩევნიაო. ამიტომ ერთს მშვენიერს დღეს ავლაბარში გამართა ბაყლის დუქანი და დაიწყო ვაჭრობა. საქმე კარგად წავიდა. ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ბაყლის დუქანი კარგ დიდ მეწვრიმლის დუქნად გადაჰმნა. ახლა უკეთ წავიდა პეტრეს საქმე, ასე რომ რამდენიმე წლის შემდეგ თავისუფალი ფული ჰქონდა შენახული და ბოლოს ხომ საკუთარი ერთ-სართულიანი სახლიც იყიდა იქ, სადაც დუქანი ჰქონდა.

ახლა ძაღლი არ დაყეფდა პეტრეს ბედს. ერთი ცოლი-ღა აკლდა და ეს ნაკლიც მალე მოიშორა თავიდან. ერთის სიტყვით, ისე მოეწყო პეტრეს საქმე, რომ მეტის წარმოდგენა აღარც-კი შეეძლო. გავიდა თვეები, წლები პეტრე მშვიდობიანად სცხოვრობდა. მაგრამ «ერთი ჭირი ყველას აქვსო“ ნათქვამია, სწორედ ეს ერთი ჭირი პეტრესაც აწუხებდა. თითქმის ორმოცის წლისა შესრულდა და ჯერ შვილი არ ჰყავდა. რამდენი არ ეწვალა, რამდენი არ ეცადა ისიც და იმის, მეუღლე პელაგიაც, მაგრამ ვერას გახდნენ. ალავერდი, თეთრ-გიორგი, თელეთი სულ მოიარეს, მთაწმინდა და დიდუბე ხომ ერთი ასასჯერ მაინც მოიარა პელაგიამ ფეხით. ერთხელ კარგადაც მიბეგვა პეტრემ პელაგია, რატომ შვილი არ გიჩნდებაო.

ბოლოს ღმერთმა მოხედათ: პელაგია დაფეხმძიმდა. პეტრეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თავისს ცოლს ფეხ-მძიმედ რომ ხედავდა. „ეხლა-კი აღარფერი მიშავსო, ჰფიქრობდა პეტრე, „ნასლედნიკი მბყოლებაო“. თუმცა პეტრეს ორივე გაუხარდებოდა, ქალი ეყოლებოდა, თუ ვაჟი, მაგრამ მინც ვაჟს უპირატესობას აძლევდა. ხშირად წავიდოდა ხოლმე პეტრე ოცნებაში. წარმოიდგენდა, ვითომც ვაჟი ეყოლა პელაგიას, ვითომ გაიზარდა კიდეც, საქმეში მხარი დაუჭირა, ვაჭრობა ერთი ორად გაფართოვდა. აი დაქორწილა კიდეც შვილი, შვილის-შვილები გარს ეხვიან და თეთრს წვერზედ ხელებს უპატუნებენ... მაგრამ აქ შეჩერდებოდა ხოლმე პეტრე. სიბერე ძალიან ეჯავრებოდა და როცა წარმოიდგენდა, რომ მეც დავბერდებიო, ჯავრი მოსდიოდა.

ერთის მხრით პეტრეს არც უმტყუნდებოდა იმედები. ვაჟი ეყოლა. გავიდა რამდენიმე წელიწადი და კირილეც წამოიზარდა. ჯერ კიდევ ექვსი წლისა იქმნებოდა, როდესაც პეტრეს კირილე დუქანში დაჰყავდა და იქ სხვა-და-სხვა საქმეს აკეთებინებდა. ძალიან მარდი რამ გამოდგა კირილე! სულ ყველ-ფერს მარჯვედ, ცოცხლად აკეთებდა.

პეტრეს არ უნდოდა კირილე სასწავლებელში მიეცა. ნასწავლი კაცები არ უყვარდა «ნასწავლებმა ფულის ყაირათი არ იციანო, ამბობდა ის. ტატუზანთ სარქისამ-კი არ გაზარდა შვილი, უფრო რუსეთში, მაგრამ რა გამოვიდა? ქალებს დასდევს და მამის ჯიბეს ათხელებსო». არც მისცემდა პეტრე თავისს შვილს სასწავლებელში, მაგრამ დიმიტრი მღვდელმა (მოძღვარი იყო პეტრესი) ძალით დაიყოლია პეტრე და მიაცემინა კირილე ერთს საშუალო სასწავლებელში. მის შემდეგ კირილე ყოველ დღე აბგით ხელში მიძუნძულებდა ხოლმე სასწავლებელში. სწავლის შემდეგ, სადილსა სჭამდა თუ არა, მაშინვე დუქანში გაჰკრავდა. ძალიან უყვარდა კირილეს დუქანა და მამასაც, მოსწონდა. ისწავლა კიდეც ვაჭრობა! ამასთანავე სწავლაშიაც არ იყო ჩამორჩენილი, გაკვეთილებს ყოველთვის ამზადებდა, სასწავლებლის მმართველობის თვალშიაც სამაგალითო ყოფა-ქცევის შეგირდად ითვლებოდა.

ასე მიდიოდა კირილეს დღენი. სულ ორი წელიწადი-ღა აკლდა სასწავლებლის გათავებას, როდესაც კირილეს ბედი სულ სხვანაირად დატრიალდა, აქედან დადგა ახალი ხანა კირილეს ცხოვრებისა. ერთს მშვენიერს ღამეს, რაღაც გამოურკვეველის მიზეზის გამო, პეტრეს სახლს ცეცხლი წაეკიდა. ისე უცბად მოხდა ეს, ისე ანაზდეულად, რომ სანამ

იხოცნენ და ნაწილებად დაიშალნენ. მაშინ აშკარად აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ ორის ფერის წყალობით აქვს მზის შუქსა ასეთი გამანადგურებელი მოქმედება მიკრობებზედა. სწორედ მათი ძალით ჰლეტს და მუსრავს მზე ჩვენის სიმრთელის უჩინარნს და ულმობელს მტრებსა. მზის შუქს რომ რაიმე კოსმიურის მიზეზის გამო მოაკლდეს ეს ორი ფერი-ცისა და იისა, მავნე მიკრობები საშინლად გამრავლდებიან და ჩვენი სიცოცხლე დიდს საფრთხეში ჩავარდება.

რა დარიგება გამოდის ჩვენთვის ამ აღმოჩენიდგანა? ის დარიგება, რომ ჩვენმა ხალხმა უნდა ხელი აიღოს მიწურებსა და უფანჯრო შენობებზედ. სწორედ ამისთანა ნოტიო, ჩრდილიანი და უმზეო სადგურების მეოხებით ხდება ჩვენი ხალხი მსხვერპლად სხვა-და-სხვა სენისა, მოარულისა, რომელთაც აჩენენ უჩინარი მიკრობები, და ბუდებულნი ამ ყოვლად უმზგავსს შენობებში. ქართველი გლეხობა მიუცილებლად უნდა შეეჩვიოს ოთახების მაღლა დადგმასა, იგინი უნდა იყვნენ მიქცეული სამხრეთის მხარეს, მზის გულისაკენ, ფანჯრები უნდა ჰქონდეთ დიდროვანი და მთელი სახლი უნდა იყოს შუქით გაჩაღებული. რა საკვირველია, სიღარიბე ბევრს გლეხს ნებას არ მისცემს ამისთანა სადგური იქონიოს; მაგრამ ვისაც კი ცოტაოდენი შეძლება აქვს, არაფერი უნდა დაზოგოს ამისთანა სადგურის ასაშენებლად, რადგანაც ეს გაუძლიერებს სიმრთელეს, უძვირფასეს საუნჯეს ყველასათვის და მეტადრე გლეხთათვის, რომელთაც უპირთ მუდმივი, დაუბრკოლებელი შრომა და რომელთათვის ავადმყოფობა შეადგენს ორ-კეცს და სამკეცს უბედურობასა.

იაკობ სიმონიძე

◆◆

ДЕМОКРАТИУЛИ

დემოკრატიული ავადმყოფობა *)

ამ სათაურით ბელგიელმა პუბლიცისტმა პოტტერმა ამას წინად ერთი წიგნი დაჰბეჭდა, რომელშიაც პარლამენტარიზმის ნაკლულევანებას ეხება. პარლამენტის ნაკლულევანების შესახებ დასავლეთ ევროპაში ეხლა ხშირად აქვთ ხოლმე სჯა-ბაასი; ამ საგნის გამოკვ მითქმა-მოთქმა ხშირად ჩვენშიაც არის ხოლმე, მაგრამ ჩვენებურ მითქმა-მოთქმას თავისებური თვისება აქვს. ევროპის წეს-წყობილების მოწინააღმდეგეებს ჩვენში რომ ყური დაუგდოთ, გეგონებათ, რომ მართლა ევროპიელები ეხლა სულ იმის ცდაში არიან, ერთი მალე დავაშოროთო შემოღებული პოლიტიკური თავისუფლება და ისევ ძველის დროის ადათსა და ჩვეულებას დავუბრუნდეთო, ჩინელებისა და სპარსელების წეს-წყობილება შემოვიტანოთო...

არა, ნუ გჯერათ—ევროპიელებს ფიქრადაც არ მოსდით ძველებურის ჯოხის ბატონობა შემოიღონ, დაუბრუნდნენ შიმშილობის ხანასა, უსამართლობას, ძალმომრეობას და ბატონ-ყმობას. ევროპიელნი წინ იყურებიან და არა უკან, აწმყო ყოფას კრიტიკის თვალით რომ სჯიან, ამით უარესობის შემოღება-კი არ უნდა,—არამედ უფრო კარგის და სამართლიანისა; თუ ეხლა „ხალხის ბატონობას“ უჩივიან, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ იმის მაგიერად სპარსეთის შაჰის ანუ დიდის მოგოლის ბატონობა სწადიანთ.

პოტტერის წიგნში თითქმის ყველა ეს საჩივარია აღნიშნული. ამ საჩივრებში პირველი ბრალი, რასა თქმა უნდა „ბურჟუაზიის მფლობელობას“, „ფულის (კაპიტალის) გაბატონებას“ და „ეხლანდელ ბატონ-ყმობას“ (დაქირავებული შრომა) ედება. მაგრამ, კაცმა რომ სთქვას, ამ ბრძოლაში პარლამენტარიზმი რა შუაშია! ბურჟუაზების მფლობელობა ეკონომიურ ცხოვრების განვითარების ერთი საფეხურთაგანია და შესაძლებელია, მან ალაგი სხვას ისე დაუთმოს, რომ პოლიტიკური წეს-წყობილება არც-კი შეიცვალოს.

შემდეგ აღნიშნულია ის საჩივარი, რომ უმრავლესობა ბატონობსო. საერთო არჩევანის უფლებამ ისე ვერ წარმართა საქმე, რომ უფლებანი და ინტერესები ერის ყოველ ნაწილისა ერთნაირად იყოს დაცული. ჩვეულებრივ პარლამენტებში ან დროებით უმრავლესობაა მბრძანებელი, ან რომელიმე პატარა წრე და ხან-და-ხან ერთი კაციც-კი—თუ თავისის ნიჭითა და მხნეობით თავი გამოიჩინა. დიდი შესანიშნავი ბრალი კია ეს: მაშასადამე, ევროპიელების აზრით, უდიდესი ბოროტება—პატარა წრის დასის, კერძო კაცის მბრძანებლობაა. აქედგან აშკარადა სჩანს, ევროპიელები რა თვალით უყურებენ ძველ წეს-წყობილებას, როდესაც უმცირესობა არამც თუ მბრძანებლობდა—არამედ ნებასაც არავის აძლევდა სიტყვა შეებრუნებინა.

შემდეგ წიგნში აღნიშნულია აწმყო წყობილების ერთი უმთავრესი ნაკლულევანებათაგანი—ინტრიგები და მომხრეების შესყიდვა არჩევანების დროს.

მდიდარ ფაბრიკანტს, მწარმოებელს მაგალითებრ, ან სხვა ვისმეს სურს პარლამენტის წევრად აირჩიონ, ამისთვის იგი, ვისაც-კი გენჯი აქვს და სული წაუწყმდია, აქრთამებს, აჭმევს და ასმევს, თავისს ხარჯით ქალაქში ჩაჰყავს, ალოთებს და სხ... რაღა თქმა უნდა, ამნაირი საქციელი სწორედ რომ საზიზღარია. მაგრამ კაცმა ისიც უნდა სთქვას, რომ ძველებურ წეს-წყობილებას კიდევ უფრო მეტი საზიზღრობა და უსამართლობა მოსდევდა.

საზოგადოდ პარლამენტიზმის ნაკლი იმას ამტკიცებს, რომ ამ ახალს წეს-წყობილებას ძველი დროის სენი ჯერ კიდევ თან დასდევს. მაშ საქმეს რითი უნდა ეშველოს? რასაკვირველია არა იმითი, რომ ძველს დაუბრუნდენ,—არამედ ახალს საშუალებას უნდა მიჰმართონ. აბა სად არის ეს საშუალება? ამ საკითხის პასუხს-კი ვეღარ იძლევიან პარლამენტარიზმის კრიტიკოსები! პოტტერსაც ეს მოუვიდა. გამოსთქვა თავისი აზრი პარლამენტის ნაკლულევანების შესახებ და ერთბაშად „გონების და მეცნიერების გაბატონების შესახებ“ დაიწყო ლაპარაკი...

ერთის სიტყვით, პოტტერის წიგნის საუკეთესო ნაწილი უნაყოფო «გონების ვარჯიშობაა» და იმ ნაწარმოებთა დარგს ეკუთვნის, რომელიც „ჰაერსა შინა კოშკთა ასაშენებლად“ იწერება.

◆◆

---

*) „Вѣст. Ин. Лит.“

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^{1}/_{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ვ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

გ. ი. ფრანციუსი, 7—$7^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

გრ. ტატიშვილის მიერ შედგენილი

ქართული ანბანი

(მონოგრამები)

ქსოვილებზედ დასითვით (გლადით) ამოსაკერად და სხვა-და-სხვა ლითონის ნივთებზედ ამოსაჭრელად, გამოვიდა და ისყიდება „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, № 125).

ფასი 1 მანეთი.

(3—უ.—3)

კბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—ნ.—30)

ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

პეტრე გამოირკვეოდა, ცეცხლმა ნახევრად გაანადგურა სახლი. ცეცხლის საქრობი რაზმიც მოეშველა, მაგრამ გვიან-ღა იყო: სახლი თითქმის სულ გადიწვა დუქნიანად, მხოლოდ ცოტაოდენის ავეჯეულობის გადანარჩენება და მოაწრეს. სახლი დაზღვეული არ იყო და ამისთანა ზარალი პეტრესთვის—აუტანელი იყო. ამდენის წლის ნაშრომ-ნაამაგევი ერთს დღეს დაეღუპა! კიდეც იმიტომ ვერ გაუძლო პეტრემ. ბევრი ფიქრისა და დარდისაგან ლოგინად ჩავარდა და რამდენისამე თვის შემდეგ წიაღსა შინა აბრაამისასა განისვენა. დარჩა პელაგია თავის კირილეთურთ ღვთის-ანაბრად.! ბევრი იტირა, ბევრი იგლოვა პელაგიამ, მაგრამ რას გააწყობდა; მკვდარს ტირილით ვერ აღადგენდა. ბოლოს გამოირკვა. თვალი გადაავლო თავისს სარჩო-საბადებელს და ხელმორედ ელდა ეცა. რაღა დარჩა? რიღათი უნდა ეცხოვრნა?

ერთად-ერთი ნუგეში პელაგიასი კირილედა იყო. იმისგან მოელოდა ხსნას, კირილეს სწავლის განგრძობა შეუძლებელი გახდა, რადგან პელაგიას შეძლება არა ჰქონდა ეძლია სწავლის ფული და თავისი თავიც შეენახა. ამის გამო პელაგიამ კირილე სასწავლებლიდგან გამოიყვანა. პირველს ხანს კირილე შინ იყო: არსად არ წასულა, არც რაიმე საქმე გაუკეთებია. ხოლო რამდენისამე ხნის შემდეგ გარდასწყვიტეს დედამაცა და შვილმაც, რომ კირილე სამსახურში სადმე უნდა შესულიყო. მშვენიერი წერა იცოდა კირილემ და ამის წყალობით დაუყონებლივ მიიღეს მწერლად ტფილისის ერთს სასამართლოში.

მალე შეეთვისა კირილე თავისს ბედს; სულ ცოტა ხნის განმავლობაში თვით თავით-ფეხამდე ნამდვილი „ჩინოვნიკი“ გახდა. „კოკარდა“ ხომ უმთავრესი ნიშანი იყო ჩინოვნიკობისა. სამსახურს პირნათლად ასრულებდა კირილე. გული გულის ალაგას არ ჰქონდა თუ რომ რაიმე საქმე დაუმთავრებელი დარჩებოდა. რასაც უბძანებდა უფროსი, მზად იყო იმ წამს აესრულებინა. ერთის სიტყვით, ყურმოჭრილი ყმა იყო უფროსისა. უფროსიც ჯეროვანის ყურადღებით ექცეოდა კირილეს და რაც შეეძლო გაჭირვების დროს შემწეობას აღმოუჩენდა ხოლმე. მართალია: ჯამაგირი ცოტა ჰქონდა, მაგრამ ფულს მაინც საკმაოდ იღებდა. თხოვნებს, არზებს და ბევრს კიდევ ამისთანა რამეს უწერდა მთხოვნელებს და, რასაკვირველია გასამრჯელოს იღებდა. პირველ ხანს პირნათლად იქცეოდა: რამდენიც ეკუთნოდა, იმდენს იღებდა. შემდეგ კი სულ სხვა გზას დაადგა. დააკვირდა სასამართლოს მოხელეთა მოქმედებას და დარწმუნდა, რომ ისინი სულ სხვა ხერხსა ხმარობდნენ ფულის საშოვნელად. ყველა სცდილობდა მოეტყუებინა, გაეცრუებინა ვინმე, ფული კი აეღო და სხვას არაფერს დაგიდევდნენ. ცოტ-ცოტა, ცოტ-ცოტა და ჩვენი კირილეც მიეჩვია ამ გვარ „პრაქტიკას“. პირველად თითქოს სინიდისიც აწუხებდა, იტანჯებოდა კიდეც, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა. გავიდა ცოტა თუ ბევრი ხანი და კირილე ბზესავით ხვეტდა ფულს. უფრო მარჯვედ ატყუებდა სოფლიდგან ჩამოსულ გლეხებს, რომელთაც კითხვაც არ იცოდნენ, არამც თუ რამე კანონი სცოდნოდათ.

გადიოდა დღეები, წლეები და ახლა უკვე კირილ პეტროვიჩი სამსახურში წინ იწევდა. „კანონები“ სხვა-და-სხვა „უსტავები“ კარგად შეისწავლა, რაიცა, რასაკვირველია, ხელს უწყობდა უფრო ბლომად აეღო ფული. ცოლის შერთვაზედაც დაიწყო ფიქრი, მაგრამ ამ დროს სულ სხვა ნაირად დატრიალდა იმისი ბედი და იღბალი. საქმე ის არის, რომ კირილ პეტროვიჩს ერთი კარგი მეგობარი ჰყავდა, რომელსაც საჩივარი ჰქონდა სწორედ იმ სასამარრთლოში, სადაც თითონ ჰმსახურებდა. საქმე ცუდად მიდიოდა. კირილ პეტროვიჩის ამხანაგი აგებდა, მაგრამ კირილ პეტროვიჩმა ქაღალდების გადარევ-გადმორევით, თარიღების და სხვა რამეების გადასწორებით საქმეს სულ სხვანაირი მიმართულება მისცა. ამისთანეები კირილ პეტროვიჩს ბევრი ჩაუდენია, მაგრამ ვერავის გაუგია, ახლა-კი ბედმა უმტყუნა, რაღაც ეშმაკად უფროსმა შეატყო სიყალბე და ვერაფრად ეშნიკა იქნება ყურადღება არც კი მიექცია, თითონ რომ არ შეშინებოდა უმაღლესის მთავრობისა. ამის გამო სთხოვა კირილ პეტროვიჩს თავისს თავად გასულიყო სამსახურიდან. ამით კირილ პეტროვიჩს არაფერი დაჰკლებია. ის იმდენად გამოცდილი, დახელოვნებული კაცი იყო, რომ უსამსახუროდაც არხეინად შეეძლო ეცხოვრა. მართლაც, ისეთი უნარი, ისეთი ნიჭი გამოიჩინა ცხოვრებისა, რომ ერთხელაც არ შენანებია თვისის ბედის ასე დატრიალება. პირ-იქით, უხაროდა კიდეცა რომ ასეთმა შემთხვევამ ბევრი „საპარსი ცხვარი“ მოაძებნინა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე. დიაღ, საპარსი! ამ სიტყვაში იოტის ოდენადაც არ სტყუოდა კირილ პეტროვიჩი.

დილით საღამომდე დაეძებდა ქალაქის ქუჩებში, ტრაქტირებსა თუ ბაკებში სოფლიდგან ჩამოსულ ხალხს, ეგებ ვინმეს ან საჩივარი, ან დასეწერი ჰქონდეს რამეო, რომ ერთი ორად გამოვცინცლო ფულიო. ერთი ორად რომ ართმევდა ფულს საწყალს გლეხ-კაცს, ამას დამტკიცება არ უნდა. რაც შეეხება იმას, საქმეს გაუკეთებდა თუ არა, ეს თვით ალლახმა უწყის. ამას თვით კირილ პეტროვიჩი არ აქცევდა ყურადღებას; იმისთვის მარტო ფულსა ჰქონდა მნიშვნელობა. ასეთმა კირილ პეტროვიჩის მეცადინეობამ ფუჭად არ ჩაუარა: რამდენისამე წლის შემდეგ მშვენიერი სახლები შეიძინა. სახლების შეძენა ერთი უპირველესი ოცნება იყო კირილ პეტროვიჩისა. ახსოვდა თავისს მამის ისტორია, ახსოვდა, რამდენისამე წლის წვალება-ვაებით შეძენილი ერთ დღეს როგორ დაეღუპა. ახსოვდა ყველა ეს და უნდოდა სამაგიერო გადაეხადა კაცობრიობისთვის. აკი გადაუხადა კიდეც! სხვისის ოფლით მონაგარის ფულით თვითონ მშვენიერი სახლი გამოსჭიმა. ისეთისავე ხიფათის ასაცილებლად, როგორიც იმისს მამას მოუხდა, კირილ პეტროვიჩმა დაუყოვნებლივ დააზღვევა სახლი.

ასე მიდიოდა კირილ პეტროვიჩის ცხოვრება თითქმის იმ დღემდე, რა დღესაც ზემოდ აღწერილი სურათი მოხდა, რომელსაც ეხლავე დავუბრუნდებით.

(დასასრული იქნება)

Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Ноября 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.